განვითარების სიმწიფის მოდელი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კითხვებზე გაცემული პასუხებით წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია ბაფის ისტორიისა და მისი ამჟამინდელი საოპერაციო გარემოს შესახებ. ეს ინფორმაცია, თვითშეფასების ფორმის მონაცემებთან ერთად, საშუალებას იძლევა ბაფის ორგანიზაციული განვითარების ახლანდელი დონისა და პერსპექტივაზე მსჯელობისათვის.

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები		
1. ქვეყნის პროფაილი (გამოცდილება)	ინფორმაციის გაცემის წელი - **2020 წელი**	
	ქვეყნის მოსახლეობა - **3,7 მილიონი**	
	ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე - **4,500 აშშ დოლარი**	
	ქვეყანაში ბუღალტერთა მიახლოებითი რაოდენობა - **70,000**	
2. ორგანიზაციის პროფაილი	**საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)**	
	დაარსების წელი -**1998 წელი**	
	მმართველი ორგანო –ტიპი & ზომა - **გამგეობა (12 წევრი)**	
	დასაქმებულთა რაოდენობა **-37**	
3. ინფორმაცია წევრების შესახებ	ინფორმაციის გაცემის წელი- **03.03. 2020**	**3.1 სქესი**
	წლიური გადასახადი **1. ნამდვილი წევრები:** *ა) საზოგადოებრივი პრაქტიკა -40 აშშ დოლარი;* *ბ) ბიზნესში დასაქმებული -20 აშშ დოლარი;* **2. ასოცირებული წევრები- 4 აშშ დოლარი;**	მამრობითი მდედრობითი სულ
	3.2 წევრების კატეგორია	**3.3 დასაქმების სექტორი**
	კვალიფიცირებული (სერტიფიცირებული) **-712**	საზოგადოებრივი პრაქტიკა - **312**

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები		
4. სამართლებრივი ჩარჩო	*საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არასამთავრობო, არაკომერციული) ორგანიზაცია. ნებაყოფილობით საფუძველზე, შეიქმნა 1998 წლის 5 მაისს, საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და ბუღალტერთა ასოციაციის გაერთიანების შედეგად. ბაფი არის საქართველოს ბუღალტერთა კლუბის (დაფუძნდა 1996 წელს) სამართალმემკვიდრე.*	
5. სტანდარტების შემუშავება	დაასახელეთ სტანდარტები, რომელთა შემუშავებაზეც პასუხისმგებელია თქვენი პროფესიული ორგანიზაცია *ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ბაფი 2016 წლამდე იყო პროფესიის რეგულატორი და პასუხისმგებელი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და ადგილობრივი სტანდარტების შემუშავებაზე.* *მიმდინარე ეტაპზე ბაფი პასუხისმგებელია ორგანიზაციის შიდა ნორმატიული სტანდარტებისა და წესების შემუშავებაზე.*	
	დაასახელეთ სტანდარტები, რომელთა შემუშავებაზეც სხვა ორგანოები არიან პასუხისმგებელნი *ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და სხვა, პროფესიის მარეგულირებელი ადგილობრივი სტანდარტების შემუშავებაზე პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.*	
6. განათლება	აღწერეთ წევრად გახდომის მინიმალური მოთხოვნები ბაფის ასოცირებული წევრები შეიძლება იყვნენ პირები: *ა). რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური (პროფესიული) განათლება ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის ან ეკონომიკის სხვა სფეროში;* *ბ). რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური პროფილით;* *გ). რომლებიც ჩართულნი არიან „ბაფის“ „ბუღალტერთა სასერტიფიკაციო პროგრამაში“;* *დ). რომლებიც მოღვაწეობენ ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სფეროში.*	
	გაქვთ პროფესიული პროგრამა ან გამოცდა? *ბაფს აქვს ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა და საგამოცდო პროცესი, რომელიც აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 23 ივლისს: სარეგისტრაციო ნომერი SARAS-IPD-0001*	
	აღწერეთ თქვენი პროფესიული ორგანიზაციისა და ამ სფეროში ჩართული სხვა ორგანოების/ორგანიზაციების როლი *ბაფი ბუღალტერთა პროფესიულ სერტიფიცირებას ახორციელებს 1998 წლიდან. სერტიფიცირების პროგრამა შემუშავებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც პროფესიით დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, მოიპოვოს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი და*	

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები	
	გახდეს ბსფ-ის წევრი. სასერტიფიკაციო პროგრამა წარმოადგენს ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) პროგრამის ქართულ ენაზე ადაპტირებულ ვარიანტს. *ბაფი არის ქვეყანაში პროფესიულ სერტიფიცირების საგამოცდო პროცესის განმახორციელებელი ორგანო.*
7. საქმიანობის ლიცენზია	დაასახელეთ ლიცენზიები, რომლებიც წევრებს სჭირდებათ საქმიანობის განსახორციელებლად *ქვეყანაში ბუღალტრისა და აუდიტორის საქმიანობა ლიცენზირებას არ საჭიროებს. კანონმდებლობით მოითხოვება, რომ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პირი (აუდიტორი) იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი.*
	ამაზე თქვენი ორგანიზაციაა პასუხისმგებელი? *სერტიფიცირების პროცესზე პასუხისმგებელია ბაფი.*
	რა არის ლიცენზიის (სერტიფიკატის) გაცემის საწყისი მოთხოვნები? *სერტიფიცირებული პირის სტატუსის მოპოვების წესები დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით“. სტატუსის მოსაპოვებლად, პროფესიული სერტიფიცირების სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილეობა და კანდიდატად დარეგისტრირება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საქართველოში ან უცხოეთში მოპოვებული აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება ან, რომელიც პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელია.* პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელი სასწავლო კურსებია: **1.** ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება; **2.** მმართველობითი აღრიცხვა; **3.** აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება; **4.** კორპორაციული მართვა, რისკების მართვა და შიდა კონტროლი; **5.** სამეწარმეო და ორგანიზაციული გარემო; **6.** ბიზნესის სტრატეგია და მართვა; **7.** პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა; **8.** ეთიკური პრინციპები; **9.** საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება; **10.** ფინანსური ანალიზი. **11.** ბიზნესსამართალი; **12.** საგადასახადო დაბეგვრა; **13.** ფინანსები და ფინანსური მართვა; **14.** ეკონომიქსი; **15.** ინფორმაციული ტექნოლოგიები.
	რა არის ლიცენზიის (სერტიფიკატის) გაცემის შემდგომი მოთხოვნები? *სერტიფიცირებული პირი სტატუსის შესანარჩუნებლად ვალდებულია:* • *მუდმივად იყოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა და ბაფის განათლების სტანდარტებით პროფესიონალი ბუღალტრისადმი მოთხოვნილი პროფესიული კომპეტენციების შესაბამისი;* • *ასრულებდეს სავალდებულო განგრძობითი სწავლების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;* • *იცავდეს პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსსა და ბაფის*

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები	
	წევრებისადმი დადგენილ სხვა მოთხოვნებს.
	აღწერეთ მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესი/პროცედურები *ბაფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს „წევრთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი“.* *ეს წესი ადგენს:* *ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის მიდგომებს;* *ბ) გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას და მათი დაკისრების წესს.* *ეს წესი ვრცელდება ბაფის წევრ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:* *ა) საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტერი - აუდიტორი, მ. შ. სერტიფიცირებული ბუღალტერი, ვინც აუდიტორულ საქმიანობის ინდივიდუალურად ახორციელებს და/ან აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული;* *ბ) ბუღალტერი ბიზნესში - ბუღალტერი, დაქირავებით მომუშავე ან დანიშნული აღმასრულებელ ან არააღმასრულებელ თანამდებობაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ვაჭრობა, მრეწველობა, მომსახურება, საჯარო სექტორი, განათლება, არაკომერციული სექტორი, მარეგულირებელი ან პროფესიული ორგანიზაციები, ან ბუღალტერი, რომელიც ხელშეკრულებით არის აყვანილი ამგვარი სუბიექტების მიერ.* *ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის უგულვებელყოფის/დარღვევის ფაქტების გამოვლენის ეფექტურ საშუალებებად განიხილება:* *ა) ინფორმაციას ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევის შესახებ, რომელიც შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს როგორც ბაფის წევრების, ისე გარეშე პირების მიერ გაკეთებული განცხადებით ბაფის ხელმძღვანელობასთან ან/და საზოგადოებაში მ.შ. მასმედია საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში;* *ბ) საჩივარს ბაფის წევრის მიმართ, რომელიც არგუმენტირებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით წარდგენილი იქნება ბაფში განსახილველად.* *გ) ინფორმაციის მიღების დამატებითი საშუალებაა დამსაქმებლის ან სხვა პირებისაგან ბაფში მიღებული შეტყობინება.* *ეთიკის კოდექსის და ხარისხის კონტროლის სისტემის დარღვევის ფაქტების მოკვლევას და განხილვას ბაფის სახელით უზრუნველყოფს ეთიკისა და დისციპლინური კომიტეტი .* *შეუსაბამო ქცევის ფაქტების გამორიცხვის მიზნით, კომიტეტი გეგმავს და ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს ბაფის წევრებისათვის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და პროფესიული ქცევის დასანერგად.*
8. საზოგადოებრივი პრაქტიკის ხარისხის უზრუნველყოფა	თქვენი პროფესიული ორგანიზაციაა პასუხისმგებელი? *ახალი კანონის (2016 წელი) თანახმად, პროფესიულ ორგანიზაციებს აქვთ შეზღუდული როლი და უფლებამოსილება, რაც მოიცავს მისი წევრების სერტიფიცირებასა და განგრძობით პროფესიულ სწავლებას. ასევე, ხარისხის*

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები	
	კონტროლის მიმოხილვის ნაცვლად, რასაც წარსულში აკეთებდა ბაფი, ახალი როლის თანახმად, უნდა მოხდეს წევრი აუდიტორული ფირმების მხარდაჭერა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებაში, რომელიც მოიცავს: კონსულტაციებს, ტრენინგებს, აუდიტის პროგრამის გამოყენება ქართულ ვერსიაში; ხარისხის კონტროლის სისტემის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის წინასწარი მიმოხილვა (დიაგნოსტიკა) და ბაფის მოწვეული ექსპერტების მიერ გაცემული სათანადო რეკომენდაციები.
	თუ არა, მაშინ ვინ არის პასუხისმგებელი? **საზოგადოებრივი პრაქტიკის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.**
	აღწერეთ, რა ტიპისაა არსებული პროგრამა.
9. ზედამხედველობა	არსებობს ზედამხედველობის ორგანოები? თუ არსებობს, მაშინ რომელია ეს ორგანოები და რაზე ახორციელებენ ზედამხედველობას? *ბაფის საქმიანობის საზედამხედველო ორგანოებია:* • *ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური -* - *ზედამხედველობას უწევს პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სფეროს;* • *ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC)* - *ზედამხედველობას უწევს წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) შესრულებას.*
	თქვენი პროფესიული ორგანიზაცია ანგარიშვალდებულია რომელიმე სხვა სუბიექტის წინაშე? *ბაფი ანგარიშვალდებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წინაშე, წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) შესრულებაზე.*
10. სხვა საკითხები	არსებობს სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა აუცილებელია თქვენი ორგანიზაციის როლის, წარმომავლობის/წარსულის /გამოცდილებისა და პასუხისმგებლობების წარმოსაჩენად? *ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით **1998-2000** წლებში:* • *ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადების, პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა;* • *დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“;* • *ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;* • *მიღებულ იქნა საქართველოს კანონები: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ (2012 წელი);* • *პერიოდულად (1998-2016 წლებში) ითარგმნებოდა და გამოიცემოდა*

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები	
	ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა; • *დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონალური ფედერაცია „ევრაზია";* • *ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;* • *მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);* • *ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2014-16 წელი);* • *პერიოდულად გამოიცემოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები;* • *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;* • *მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამით გადამზადდა 2500-მდე პირი;* • *პროფესიონალი ბუღალტრის (სერტიფიცირებული პირი) სტატუსი მოიპოვა 712 პირმა;* • *მიმდინარე ეტაპზე, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს სერტიფიცირების 7500- მდე კანდიდატი.* *აღიარება და რეპუტაცია.* *ბაფი, პროფესიის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, 1999 წლიდან აღიარებულია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და 2016 წლამდე მინიჭებული ჰქონდა პროფესიის რეგულატორის ფუნქცია.* *1998 წლიდან თანამშრომლობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან ფასს-ების ქართულ ენაზე თარგმნის სფეროში.* *2000 წლიდან არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი.* *2003 წლიდან, ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო პროგრამის ადაპტირებული ქართული პროგრამის საფუძველზე, ახორციელებს პროფესიულ სერტიფიცირებას.* *2006 წლიდან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა აკრედიტებულია ACCA -ის მიერ.* *2012-2016 წლებში, კანონმდებლობის საფუძველზე, ახორციელებდა აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლს.* *ბაფის ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამა, საგამოცდო პოლიტიკა და პროცედურები აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის*

ორგანიზაცია – ზოგადი ინფორმაცია, როლი და პასუხისმგებლობები	
	ზედამხედველობის სამსახურის მიერ. ბაფი არის საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების განმახორციელებელი ერთადერთი საგამოცდო ცენტრი. *ბაფის სტაბილურობის, აღიარებისა და იმიჯის წყაროა მისი წევრების სიმრავლე, პროფესიონალიზმი, კოლეგიალური დამოკიდებულება, პროფესიული ღირსება და ეთიკური ქცევა. ბაფის წარმატებებში მნიშვნელოვანია მისი პარტნიორების წვლილი.* *ბაფი აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ სექტორთან.*